ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980121376438816

№16/281427

26 / ოქტომბერი / 2016 წ.

შპს მშენებელი.

საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა ფშაველას გამზ., VII კვ., კორ. 8, ბ. 63

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N87475/07 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 01.03.2016წ. N2455521 (AR1380504) ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, ქუცა გიორგი ბწყინვალე N19-ში (საკ. კოდი 01.10.06.014.057) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ავტოსადგომის სართულზე -3.00 ნიშნულზე, შეცვლილია არსებული და საპროექტო დონეები, ხოლო „3-4“ და „ბ-გ“ მონაკვეთებში გაუქმებულია პანდუსები. „3-3“ ღერძზე „გ-ბ“ მონაკეთში მონოლითურ კედელში მოწყობილია კარის ღიობი. „დ-დ“ ღერძზე „5-4“ მონაკვეთში მონოლითურ კედელში გაზრდილია კარის ღიობის გაბარიტები. „2-3“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ რიგელები მოწყობილია დახრილად.

+0.00 ნიშნულზე, „დ-გ“ მონაკვეთში „3-4“ ღერძებს შორის ფილაში არ არის მოწყობილი შ.შ.მ. პირების პანდუსისთვის განკუთვნილი ქანობი. „1-1“ ღერძის გარეთ „დ-გ“ მონაკვეთში კედლის ნაწილი მოწყობილია ბლოკით, ხოლო ნაწილი ბეტონით. „გ-გ“ ღერძზე „1-1“ ღერძის გარეთ კედელს და კოლონას შორის დამატებით მოწყობილია რიგელი. „1-2“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია საყრდენების სიგანე. „ა-ა“ ღერძზე „3-4“ მონაკვეთში გაზრდილია კარის ღიობის სიგანე 0.15 მ-ით, ხოლო „5-6“ მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. ამავე ღერძზე „4-5“ მონაკვეთში ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი. „დ-დ“ ღერძზე „6-5“ მონაკვეთში ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი.

+4.200 ნიშნულზე, „ბ-ა“ და „ა-ბ“ მონაკვეთებში მოწყობილია მონოლითური ფილა, რითაც გაუქმებულია ქანობიანი გადახურვები, ასევე „1-1“ და „6-6“ ღერძების მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კედლები.

„6-1“ ფასადი: „4-3“ მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს განათების ღიობის და გისოსების გაბარიტები, ასევე შეცვლილია გისოსების ნახატი. „2-1“ მონაკვეთში გაზრდილია აივნების სიგრძე 0.2 მ-ით.

„1-6“ ფასადზე, „1-2“ მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგრძე 0.2 მ-ით.

ფასადებზე შეცვლილია ლითონის მოაჯირების ნახატი.

შენობას მონაცვლებული აქვს ადგილი და გაცდენილია საკადასტრო საზღვრებს, ასევე შენობა კვეთს პროექტში ნაჩვენებ სატრანსპორტო ზონას. „I-I“ ღერძის გარეთ „დ-ბ“ მონაკვეთში გაზრდილია საყრდენი კედლის სიგრძე და გაცდენილია საკადასტრო საზღვრებს.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

